

ავთანდილ უნგიაძე

მართლმადიდებლური  
ბიოეთიკა –  
ახალი გამოწვევები

თბილისი  
2021წ.

ბიოეთიკა – ეს ტერმინი მთლად წარმატებული ვერ არის, რადგან სრულად ვერ ასახავს პრობლემათა მთელ პალიტრას, რომლებიც წარმოიშვება ახალი ბიოლოგიური და სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი მედიცინასა და ბიოლოგიაში დღის წესრიგში აყენებს მეტად მნიშვნელოვანი საკითხების რიგს – ყოველ შემთხვევაში იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც იზიარებენ ტრადიციულ რელიგიურ მიდგომებს ადამიანის არსებობის, საზოგადოებრივი მორალისა და პიროვნების ზნეობრივი არჩევანის საკითხებთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ უკავშირდება მორწმუნის ცნობიერებაში ადამიანის ღირსების საკითხს.

მსოფლიოში დღემდე არ არსებობს ბიოეთიკის სფეროში სტანდარტული ეთიკური მიდგომები და სახელმძღვანელო პრინციპები, რისი მთავარი მიზეზიც ის არის, რომ თანამედროვე მეცნიერება არ ეყრდნობა მყარ ზნეობრივ და ეთიკურ იდეოლოგიას, როგორცაა ქრისტიანული ანთროპოლოგია.

წინამდებარე ნაშრომში არის მცდელობა იმისა, რომ მოხაზოს პრობლემათა ის სფერო, რომლებიც წარმოიშვება ქრისტიანული ბიოეთიკის ფორმირების გზაზე, წარმოაჩინოს მიდგომათა და პრინციპთა ის ერთობლიობა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ქრისტიანული ბიოეთიკის კონცეფციასა და პრინციპებს.

იმ დროს, როდესაც ქვეყანაში არ არის კანონები, რომლებიც დაარეგულირებენ მეტად საშიშად ქცეულ ბიომედიცინის მოღვაწეობას, ეკლესიის ხმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

შეადგინა –ა. უნგიაძემ

კორექტურა – ი. კანდელაკისა

# 1. შესავალი

1970 წელს ონკოლოგიის დარგის სპეციალისტის ვან რენსელერ პოტერის მიერ პირველად იქნა შემოტანილი ტერმინი "ბიოეთიკა", რამაც იმპულსი მისცა ახალი სამეცნიერო დისციპლინის განვითარებას, რომელიც მიმართულია ბიოსამედიცინო მეცნიერების განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტისაკენ. ბიოეთიკა – ეს ტერმინი მთლად წარმატებული არ არის, რადგან სრულად ვერ ასახავს პრობლემათა მთელ პალიტრას. ის დაკავშირებულია ზნეობრივი ან ეთიკური პრობლემების ფართო წრესთან, რომლებიც წარმოიშვებიან ახალი ბიოლოგიური და სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე.

ადამიანის ცხოვრებისადმი მსოფლიოში თანდათან უტილიტარულ–ინსტრუმენტული დამოკიდებულება ყალიბდება, რისი გამოხატულებაცაა, მაგალითად, აბორტების საყოველთაო ლეგალიზება, ადამიანის ემბრიონისადმი, როგორც სახარჯი მასალისადმი დამოკიდებულება და ა.შ. სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესი მედიცინასა და ბიოლოგიაში დღის წესრიგში აყენებს მეტად მნიშვნელოვანი საკითხების რიგს – ყოველ შემთხვევაში იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც იზიარებენ ტრადიციულ რელიგიურ მიდგომებს ადამიანის არსებობის, საზოგადოებრივი მორალისა და პიროვნების ზნეობრივი არჩევანის საკითხებთან დაკავშირებით. ბიოტექნოლოგიების ადრესატი ხომ თავად ადამიანია. მეტიც, ბიომედიცინის ზოგიერთ პრაქტიკაში ადამიანი, როგორც სუბიექტი, რომლის კეთილდღეობისკენაც არის ვითომცდა მიმართული თანამედროვე სამეცნიერო პროგრესი, რედუცირდება ერთგვარი ბიოლოგიური მასალის დონემდე და თავად ხდება მანიპულაციის ობიექტი. ქრისტიანს ეს იმიტომაც აწუხებს, რომ ადამიანისა და მისი ბუნების, იქნება ეს ემბრიონი, ცოცხალი თუ გარდაცვლილი ადამიანი, მიმართ ქმედებები, რომლებიც გულისხმობენ მის გამოყენებას სამეცნიერო ან სამედიცინო მანიპულაციების ობიექტად, პირდაპირ უკავშირდება მორწმუნის ცნობიერებაში ადამიანის ღირსების საკითხს. განსაკუთრებული სიმძაფრით ეს COVID-19-ს "პანდემიის" დროს

გამოვლინდა მკურნალობასთან, შემზღუდავი რეგულაციებისა და ვაქცინაციის საკითხებთან დაკავშირებით.

როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ბიოტექნოლოგიური მიღწევების მიმართ ქრისტიანსა და მართლმადიდებელ ეკლესიას ქრისტიანული ეთიკიდან გამომდინარე? რა კრიტერიუმები უნდა გამოიყენონ პროფესიონალმა სამედიცინო მუშაკებმა, ერისკაცებმა და სამღვდლოებამ იმ ზნეობრივად რთულ სიტუაციებში, როდესაც აუცილებელია არჩევანის გაკეთება, მკურნალობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება? როგორ დავიცვათ ექიმები და პაციენტები მათ პიროვნებაზე ახალი ბიომედიცინური ტექნოლოგიების დესტრუქციული ზემოქმედებისგან? როგორია ეკლესიის პასუხები თანამედროვე ბიომედიცინის ეთიკური პრობლემების ისეთი მუდმივად მზარდ კომპლექსზე, როგორცაა [18]:

- ახალი ბიომექანიკური ტექნოლოგიების შექმნასთან და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული ეთიკური პრობლემები;
- ამ ტექნოლოგიების შესწავლის არასაკმარისი დონე, მათი გამოყენება სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოებს გარეთ სამედიცინო პერსონალის ეთიკური ცნობიერების კლების ფონზე;
- თანამედროვე მედიცინისა და ბიოსამედიცინო ცოდნის ზნეობრივი განდგომილება და კომერციალიზაცია;
- ექიმსა და პაციენტს შორის თანამედროვე "პარტნიორული" ურთიერთობების ეთიკური პრობლემები;
- პიროვნების ღირსების დაკარგვა და გაუფასურება და ა.შ.

მსოფლიოში ბიოეთიკის სფეროში დღემდე არ არსებობს სტანდარტული ეთიკური მიდგომები და სახელმძღვანელო პრინციპები. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ თანამედროვე მეცნიერება არ ეყრდნობა მყარ ზნეობრივ და ეთიკურ იდეოლოგიას, როგორცაა, მაგალითად, ქარისტიანული ანთროპოლოგია.

მართლმადიდებლობას აქვს პასუხები იმ პრობლემებზე, რომლებიც შეეხება ადამიანს და, შესაბამისად, ეკლესიას არ შეუძლია გვერდზე გადგეს, როდესაც წარმოიშვება ბიოეთიკური პრობლემები და დილემები, რომელთა წინაშეც დღეს მთელი კაცობრიობა და თითოეული ადამიანი დგას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანს ემუქრება საფრთხე იმისა, რომ გახდეს ის, რასაც იგონებენ და

ქმნიან დღევანდელი მეცნიერები, და არ იყოს ის, ვინც არის ის ღმრთის განგებით. ეკლესია ვალდებულია ღვთის ერთგული ხალხის მიმართ პატიოსნებითა და სახარებისეულ მცნებებზე დაყრდნობით ერის წინაშე განაცხადოს თავისი პოზიცია ბიოეთიკის პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, ჩამოაყალიბოს მართლმადიდებლური ბიოეთიკის კონცეფცია და მთავარი პრინციპები ეკლესიის სწავლების საფუძველზე, ჭეშმარიტების სიტყვის წარმმართველი უფლებით – როგორც ეს არის ნათქვამი და დამოწმებული წმინდა წერილებით და წმინდა მამების საერთო თანხმობით (consensus Patrum).

ეკლესია ვერ გამოვა სამეცნიერო მიღწევების წინააღმდეგ. მართალი იყო არისტოტელე, როდესაც თქვა: "ადამიანის არსება ისეთია, რომ მას სურს, რომ იცოდეს". მაგრამ თანამედროვე ადამიანებს უკვე ეშინიათ, გახდნენ ტექნიკური პროგრესის მსხვერპლნი. ნიურნბერგის კოდექსის ერთ-ერთმა ავტორმა შორეულ 1945 წელს თქვა: **"ჩვენ თავად უნდა შემოვიზღუდოთ იმ ცოდნის წვდომა, რომლის აღსაქმელად ჩვენ არ გვყოფნის ზნეობრიობა"**. საეჭვოა, რომ დემონიზებული ეპოქის მეცნიერებამ თვითშეზღუდვის ასეთი აქტი განახორციელოს. ამიტომ ეკლესიის ამოცანაა, შეძლებისდაგვარად მეცნიერებასთან კავშირში, აკონტროლოს ახლად შემუშავებული მეთოდიკები, და როგორც კი ისინი მიაღწევენ ექსპერიმენტის სტადიას, გააფრთხილოს თავისი სამწყსო მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. ამ საქმეში ვერ გვიშველიან კანონები, თუნდაც მაღალ დონეზე მიღებულნი, არამედ გვიშველის ჩვენი სინდისის ხმა – ღმრთის ხმა ადამიანში.

## 2. მართლმადიდებლური ბიოეთიკის საფუძვლები

დემონიზებული მსოფლიოს მეცნიერება სულ უფრო ღმრთისმგმობი ხდება. მას გაუჩნდა ამპარტავნება, ჩაწვდეს ბუნების დაფარულ საიდუმლოებებსა და თავხედური ამბიცია, დაიკავოს ღმრთის ადგილი, როდესაც საქმე კურნებას ეხება. მსოფლიო ძალების ძირითადი ძალისხმევაც იქითკენაა მიმართული, რომ ადამიანების ცნობიერება სწორედ აქეთ წარმართოს და ამით დააშორონ ისინი ღმერთს, აიძულონ, დაექვემდებარონ ბოროტი ძალების რეგულაციებს, დაიმორჩილონ და დაიმონონ ისინი, და ასე განუშადაოს ტახტრევანი

ანტიქრისტეს. იმას, რასაც ეს ძალები პანდემიის პირობებში ნერგავენ, თამამად შეიძლება ეწოდოს ანტიქრისტეს სტანდარტები.

მეცნიერების, მათ შორის ბიოლოგიური და სამედიცინო მეცნიერების მიერ წარმოდგენილი ადამიანის კონცეფცია ეწინააღმდეგება ეკლესიის სწავლებას. ეკლესიის სწავლებით ადამიანის არსებობის მიზანი ღმრთის მსგავსობისკენ სწრაფვაა. თანამედროვე მეცნიერება და მისი ბიოეთიკა კი გვერდზე სწევს ადამიანის ცხოვრების მიზანს და ეწევა ადამიანის დეზორიენტაციას ამ მიზნის მიღწევის გზაზე. ამის საწინააღმდეგოდ ეკლესია ახდენს ადამიანის ორიენტირებას მისი არსებობის მთავარი მიზნისკენ და მიუთითებს, უპირველეს ყოვლისა, იმ მიზანზე, რისთვისაც არის ადამიანი მოწოდებული, და არა დროებითი და წარმავალი სიამოვნებებისკენ, რომლისკენაც ადამიანს მატერიალისტური, მათ შორის გენეტიკური მეცნიერება ექაჩება. სწორედ წმინდა მამათა სწავლების ფონზე წარმოჩნდება თვალნათლივ ბიოეთიკის რეალური პრობლემები.

იმის თაობაზე, რომ თანამედროვე მეცნიერება არ არის სიბრძნისეული, ნათქვამია ფსალმუნებში: **"დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისაჲ, ხოლო გულისკმის-ყოფაჲ კეთილი ყოველთა, რომელთა ყონ იგი, და ქებაჲ მისი ეგოს უკუნითი უკუნისამდე"** (ფს. 110). იმის თაობაზე, რომ ბოროტებაზე მდგარი მეცნიერება არც ჭეშმარიტად მეცნიერულია, საუბრობს იოხი: **"და ჰრქუა კაცსა: აჰა, ესერა, ღმრთისმსახურება არს სიბრძნე, ხოლო განშორებაჲ ბოროტისაგან არს მეცნიერებაჲ"** (იოხ., 28,28).

ჩვენთვის საინტერესოა ბიბლიური ცნობები მედიცინის, მკურნალთა და მკურნალობის შესახებ. ბიბლიაში ძველი აღთქმისეული მღვდლები მკურნალებადაც გვევლინებიან. მათი სამედიცინო ცოდნა ძირითადად ემპირიული ხასიათისაა. მწირია მითითებები ანატომიურ და ფიზიოლოგიურ ფაქტებზე. მცირეა, მაგრამ მაინც არის საუბარი მკურნალობის მეთოდებზე: ვკითხულობთ განზანის, ზეთისცხების, ჭრილობის გადახვევის წინ დამამებელი საცხების დადების შესახებ (ეს. 1:6); ლეღვის პლასტიკის შესახებ, რომელსაც ჭრილობაზე ადებდნენ (ის. 38:21), ჭრილობების ღვინითა და ზეთით დამუშავების შესახებ და ა.შ. მწირია ცნობები ასევე შინაგანი მიღების წამლებთან დაკავშირებით, თუმცა ვიცით, რომ იმ

დროს სამკურნალო ბალახებით მკურნალობა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული. საყოველთაოდ ცნობილია მოციქულ პავლეს რჩევა ტიმოთესადმი: "ნუ წყალსა ხოლო სუამ, არამედ ღვწოდა მცირედ იკუმიე სტომაქისათვის და ზედაისზედა უძლურებისა შენისათვის" (1 ტიმ., 5:23).

კურნების, საზოგადოდ მედიცინის შესახებ ღმრთივგანბრძნობილ სწავლებას ვხვდებით ისუ ზირაქთან, რომელიც მოგვიწოდებს, რომ პატივი მივაგოთ მკურნალს: "იმდენი პატივი მიაგე მკურნალს, რამდენადაც გჭირდება იგი, რადგან უფალმა შექმნა იგი. რადგან მკურნალობა უზენაესისგან არის და ნიჭიც მეუფისგან ეძლევა მას... უფალმა მიწისგან შექმნა წამლები და გონიერი კაცი არ უგულუბელყოფს მათ... მანვე მისცა ადამიანებს ცოდნა, რათა ედიდებინათ იგი მის საკვირველ საქმეთა გამო. მათი წყალობით მკურნალობს და უამებს ტკივილებს, წამლის მკეთებელი მათგან ნარევს ამზადებს... შვილო, შენს სნეულებას ნუ მიუყრუებ, არამედ შეევედრე უფალს და განგკურნავს. განაგდე ცთუნება და გაისწორე ხელი და გული განიწმინდე ყოველგვარი ცოდვისგან. მიეცი ადგილი მკურნალს, რადგან უფალმა შექმნა და ნუ მოიშორებ, რადგან გჭირდება იგი... არის ჟამი, როცა მათ ხელშია წარმატება. რადგან ისინიც უფალს ევედრებიან, რომ შეეწიოს სნეულთათვის შვების მისაცემად და მათ სასიცოცხლოდ... ვინც თავისი შემოქმედის წინაშე სცოდავს, დაე, ის ჩავარდეს მკურნალის ხელში" (ზირ., თავი 38).

ბიოეთიკის საფუძვლების კვლევისა და ჩამოყალიბებისათვის მეტად საინტერესოა ბიბლიური ცოდნა თავად ავადმყოფობის რაობისა და კურნების შესახებ. ძველი აღთქმის უდიდესი წინასწარმეტყველი ესაია სულიერად ჭვრეტს ავადმყოფობისა და ტანჯვის საიდუმლოს, როგორც გამომსყიდველ მსხვერპლს მსოფლიოს ცოდვებისათვის: "არამედ სახე მისი უპატივო და მოკლებულ უფროს ყოველთა ძეთა კაცთასა. კაცი მყოფი წყლულებასა შინა და მეცნიერი თავს-დებად გუემულებასა, გარემიიქცია პირი მისი, უპატივო იქმნა და არ შეირაცხა. ესე გუემულებათა ჩუენთა იტვრთავს და ჩუენ ძლით ღმობილ არს, და ჩუენ შეჭვრაცხეთ იგი ყოფად ტკივილსა შინა და წყლულებასა შინა ღმრთისა მიერ და განბოროტებასა შინა. ხოლო იგი იწყალა ცოდვათა ჩუენთათვის

და გუემულ არს უსჯულოებათა ჩვენთათჳს, წურთა მშჯდობისა ჩუენისა მის ზედა, წყალობითა მისითა ჩუენ განვიკურნენით“ (ეს. 53: 3-5).

თუ შევაჯამებთ ძველი აღთქმის შეხედულებს სნეულების მიზეზებთან დაკავშირებით, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი მომენტები:

1. ავადმყოფობა, როგორც დაცემული ადამიანის არასრულყოფილი, ხრწნადი ბუნების გამოვლინება;
2. ავადმყოფობა, როგორც სასჯელი და მისაგებელი ცოდვისათვის;
3. ავადმყოფობა, როგორც მოწოდება სინანულისა და საკუთარი ცხოვრების განსჯისაკენ;
4. ავადმყოფობა, როგორც ერთგულების გამოცდა.
5. ავადმყოფობა, როგორც გამომსყიდველი მსხვერპლი.

ეს უკანასკნელი სრულად განხორციელდა ჯვარზე მაცხოვრის ნებსითი ვნებისა და სიკვდილის გზით. უნდა აღინიშნოს, რომ სახარება აყალიბებს პრინციპულად ახალ დამოკიდებულებას ავადმყოფობის მიმართ: ავადმყოფობის მიღებით სიმდაბლითა და მოთმინებით, მასში ღვთის ნების დანახვით, ადამიანი დასაბამს უღებს ჯვრისმტვირთველობას, ანუ ტანჯვაში ქრისტესადმი ნებაყოფლობით მიდევნებას. ავადმყოფობა, რომელიც სეკულარული მსოფლიოსთვის საშინელი და უაზროა, ხდება გაცნობიერებული ღვაწლი, მიმართული სულის განწმენდისა და სულიერი ჯანმრთელობის მოპოვებისაკენ, ქრისტეს ვნებისა და აღდგომის საიდუმლოში შესვლის გზით.

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი: არსად არ არის სხვაგან ავადმყოფების მიმართ თანალმობისა და თანაგრძნობისაკენ მოწოდება ისე ძალუმად, როგორც ეს სახარებაშია. ეს იდეა თავის ზღვრულ მნიშვნელობამდეა აყვანილი: ვინც ავადმყოფს აღმოუჩინა დახმარება, ის თავად უფალს აღმოუჩინა. სახარება მოგვიწოდებს, ყველა ტანჯულ ადამიანში დავინახოთ ტანჯული ქრისტე.

მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება ადამიანს განიხილავს როგორც გონიერ ქმნილებას სრულყოფილებისა და განღმრთობის თვალსაზრისით, და არა როგორც მხოლოდ ბიოლოგიურ და ირაციონალურ არსებას. ბიოეთიკის მართლმადიდებელი შეხედულებები და პრინციპები უნდა დაეფუძნოს ქრისტიანულ, წმინდა მამებისეულ ანთროპოლოგიას.



ეკლესიისთვის ყოველი ადამიანი ეს არის უნიკალური და ამოუწურავი პიროვნება. ბიოეთიკამ წინა პლანზე გამოიტანა პრობლემები, რომელიც სცილდება კლასიკურ ეთიკასა და ეხება ონტოლოგიას<sup>1</sup>. ონტოლოგია კი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი სპეციფიკაა მართლმადიდებლობისა, და უპირველესად – ქრისტიანული ეთიკისა, რადგან ქრისტიანული ეთიკა ონტოლოგიურია. სწორედ ამ გადმოსახედიდან უნდა შევაფასოთ ეთიკური თვალსაზრისით თანამედროვე ბიოლოგია, ბიოტექნოლოგია, გენური ტექნოლოგია და ინჟინერია. შესაბამისად ეკლესიის მიერ ბიოეთიკის პრობლემების შეფასების კრიტერიუმი არის წმინდა მამებისეული ანთროპოლოგია.

ადამიანის ბუნების შესახებ წმინდა მამათა სწავლება ემყარება ორ ფუნდამენტალურ დებულებას: სწავლებას ღმრთის მსგავსებისა და სწავლებას "სამოსელნი ტყავისანის" შესახებ, რომელიც იძლევა სწორ გაგებას ადამიანის მდგომარეობის შესახებ დაცემის შემდეგ. ეს უკანასკნელი არის ბიბლიური სწავლება იმის შესახებ, რომ დაცემის შემდეგ ღმერთმა მოიღო წყალობა **"და უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შეჰმოსნა მათ"** (დაბ., 3,21).

პირველი, რასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება არის ის, რომ "სამოსელნი ტყავისანი", რაშიც ადამიანი დაცემის შემდეგ შეიმოსა, არ არის მისი ბუნებრივი მდგომარეობა. ის, რასაც ემპირიული მეცნიერება "ადამიანის ბუნებას" უწოდებს, ბიბლიური და წმინდა მამებისეული გაგებით არის უკვე გვიანდელი ბუნება, მდგომარეობა, რომელიც ძალაში შევიდა დაცემის შემდეგ და არა პირველქმნილი, ჭეშმარიტი ადამიანური ბუნება, რადგან მხოლოდ ღმრთის მსგავსებით მოწყობილი ცხოვრება შეეფერება ჭეშმარიტად ადამიანს და თანხმობაშია მის ბუნებასთან. წმინდა მამებისეული ანთროპოლოგიის გასაგებად აუცილებელია შევიმეცნოთ ზუსტი განსხვავება ადამიანის ბუნების შესახებ საღმრთისმეტყველო და ობივატელურ გაგებებს შორის.

---

<sup>1</sup> ონტოლოგია – ფილოსოფიური მოძღვრება ყოფიერების ანუ არსებობის, არსის, სტრუქტურისა და კანონზომიერების შესახებ. არის მეტაფიზიკის განშტოება. ონტოლოგიური პრობლემები ეხება ყოფიერებას, მის სახეებსა და თავისებურებებს

მეორე, რაც ასევე უნდა გავიგოთ, არის ის, რომ "სამოსელნი ტყავისანი" არ უნდა ავურიოთ ადამიანის სხეულში. სწავლებით ადამიანის ბუნებას შეადგენენ სხეული და სული ერთობლივად. ბიოეთიკური პრობლემის გასაცნობიერებლად მნიშვნელოვანია მართლმადიდებლური სწავლება "სამოსელნი ტყავისანის" შესახებ. ის, ერთი მხრივ, გვიჩვენებს, რომ ადამიანის არსებობა არ ამოიწურება ბიოლოგიური ცხოვრებით, რომ ბიოლოგიური ცხოვრება ადგილს უთმობს ადამიანის არსებობის თავდაპირველ სახეს. ეკლესიურად ეს სახე განსხვავებულად გაიგება, ვიდრე ამას მეცნიერული თვალსაზრისი გვამლევს, რომელიც ცდილობს ადამიანი დაარწმუნოს იმაში, რომ იგი უნდა ისწრაფვოდეს, რათა თავისი მდგომარეობა ბიოლოგიური არსებობის კონტექსტში გაიუმჯობესოს. მეორე მხრივ "სამოსელნი ტყავისანის" საშუალებით ღმერთმა ადამიანს დაუტოვა იმის შესაძლებლობა, რომ დაუბრუნდეს პირველყოფილ მდგომარეობას სულიერი ბრძოლის, ღვაწლის საშუალებით.

ამ გადმოსახედიდან ადამიანის სხეულისა და სულის კავშირი და ურთიერმიმართება საკამათოს ხდის იმ მრავალ ექსპერიმენტს, რასაც მეცნიერება ატარებს, მაგალითად ემბრიონებზე, გენეტიკური ტესტირების სფეროში, პრენატალური დიაგნოსტიკის<sup>2</sup> და კლონირების სფეროებში და ა.შ. ადამიანის, როგორც პიროვნების უნიკალურობა აყენებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, პიროვნების ინდივიდუალურობის შენარჩუნება, ადამიანისა და მისი პირადი მონაცემებისადმი პატივისცემა და ა.შ.

ადამიანის გენომის შესწავლა და კარტირება არ არის ეთიკური პრობლემა. ეკლესია არ ეწინააღმდეგება მეცნიერულ კვლევებს. ასეთი კვლევების შედეგად შესაძლებელი გახდა ზოგიერთი დასკვნის გაკეთება. პირველი: ყველა ადამიანს გენეტიკური კოდის მიმდევრობა დაახლოებით ერთნაირი აქვს. ეს ეხმიანება ეკლესიის სწავლებას იმის შესახებ, რომ ყველა ადამიანი ღმრთისა და კაცთა წინაშე თანასწორია. მეორე დასკვნა ისაა, რომ ყოველი უჯრედის ბირთვი შეიცავს მთელ

---

<sup>2</sup> პრენატალური [ლათ. prae წინ და natalis დაბადებასთან, შობასთან დაკავშირებული] – (მედიც.). რაც დაკავშირებულია მშობიარობის წინა პერიოდთან. პრენატალური დიაგნოსტიკა - ნაყოფის გამოკვლევა დედის მუცელშივე.

ინფორმაციას ადამიანის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ ადამის ყველა შთამომავალი ითვლება მის ანაბეჭდად, ასლად, და ამიტომ ადამიანს შეუძლია თავის თავში მოიცვას ყველა არსებული ადამიანის ბუნება ადამიდან დაწყებული ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე. მესამე დასკვნა ისაა, რომ ადამიანის დნმ ხელუხლებელი შეიძლება დარჩეს მისი სიკვდილის მერე რაგინდ დიდი დროის განმავლობაში. ეს ეხმიანება ეკლესიის სწავლებას იმის შესახებ, რომ საჭიროა ადამიანის ნეშტი შევინარჩუნოთ (დავმარხოთ) მისი სიკვდილის შემდეგ.

ამასთან დაკავშირებით ეკლესიამ ხმამაღლა უნდა განაცხადოს შემდეგი მიდგომები:

«დაუშვებელია ნორმის ხარისხში ავიყვანოთ უზნეო და ანტიჰუმანური ქმედებები ადამიანთან მიმართებაში, ისეთები, როგორცაა ევთანაზია, აბორტი, ექსპერიმენტები, რომლებიც ცვლიან ადამიანის ბუნებას და მისთ. ეკლესია მიუღებლად მიიჩნევს ადამიანის ჩანასახის ქსოვილების, განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფი აბორტირებული ემბრიონის ორგანოების მოპოვებას იმ მიზნით, რათა უმკურნალონ სხვადასხვა დაავადებებს, "გაახალგაზრდავებისათვის" და სხვა ფსევდოჰუმანური მიზნებისათვის. ასეთი პრაქტიკა არის აღვირაზსნილი უზნეობის მაგალითი და ატარებს დანაშაულებრივ ხასიათს».

ბიოეთიკურ პრინციპებზე საუბრისას გამოყოფენ ოთხ ძირითად პრინციპს, როგორცაა: არ ავნო, აკეთე სიკეთე, ადამიანის ავტონომიურობის პატივისცემის პრინციპი და სამართლიანობის პრინციპი. მედიცინის განვითარების კვალობაზე, «სომატური» უფლებების ახალი თაობის გამოჩენით ხსენებული პრინციპების ეფექტურობა და ქმედითუნარიანობა ეჭის ქვეშ დგება. თუკი ამ პრინციპების გაგება – რა არის სიკეთე, რას ნიშნავს არ ავნო, რა არის სამართლიანობა და ადამიანის პატივისცემა და ა.შ. – არ დაეფუძნა საღმრთო კანონებსა და მცნებებს, დასახელებული პრინციპების ნებისმიერი მოდიფიცირება ხსენებულ პრობლემებს ვერ მოხსნის. სწორედ ასეთი საფუძვლის არქონის გამო შეუძლია გაამართლოს და ამართლებს კიდევ დღევანდელი ჰუმანისტური იდეოლოგია და, კერძოდ, მედიცინა ყველა დასახელებულ მიდგომას. ანუ გარკვეულ პირობებში შესაძლებელს ხდის ევთანაზიას, აბორტს, სტერილიზაციას,

კლონირებას, იძულებას და ა.შ. ასეთი ტერმინიც კი მოიგონეს: თერაპევტული აბორტი.

მაგალითად, პრენატალური დიაგნოსტიკის შედეგად ნაყოფის დაავადების აღმოჩენის შემდეგ მეცნიერება აყენებს საკითხის ორ გადაწყვეტას: აბორტს ან ნაყოფის შენარჩუნებას. აბორტის დაშვება უკავშირდება მეცნიერების მიერ ემბრიონის მორალური სტატუსის გაგებას, რომელიც განსხვავდება ეკლესიურისაგან. მართლმადიდებლური სწავლებით ადამიანის სიცოცხლე იწყება ნაყოფის ჩასახვის მომენტიდან და გრძელდება მის მიერ ღმრთისმსგავსების მიღწევამდე. აბორტი – ეს არ არის მკურნალობა, არამედ მკვლელობაა. შესაბამისად გენეტიკურად დაავადებული ნაყოფის შემთხვევაში აბორტის შეთავაზება მართლმადიდებლური ბიოეთიკით გაუმართლებელია.

ეკლესიამ უნდა განიხილოს და განუმარტოს სამწყსოს სახელმძღვანელო მიდგომები და პრინციპები შემდეგ პრობლემატურ კითხვებთან და საკითხებთან დაკავშირებით:

1. ევთანაზიის სამედიცინო და ზნეობრივი პრობლემები, მისი მართლმადიდებლურ–ეთიკური შეფასებები;
2. ახალი რეპროდუქციული ტექნოლოგიების ეთიკური პრობლემები; ემბრიონებზე მანიპულაციის ეთიკური ასპექტები, თანამედროვე დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების განხილვა ადამიანის ღირსების შუქზე;
3. ადამიანის კლონირების ზნეობრივი და სოციალური ასპექტები, მისი დაუშვებლობისა და მიუღებლობის რელიგიური დასაბუთება;
4. აბორტის, როგორც ბავშვთა კვლის ეთიკურ–ზნეობრივი შეფასება, აბორტის შემოქმედთა და მონაწილე პირთა მიმართ საეკლესიო სასჯელის ნორმები და მექანიზმები, აბორტი და ექიმის ეთიკა, მართლმადიდებლობის დამოკიდებულება მუცელის მოშლის მიმართ და ზნეობრივი შეფასებები. პაციენტისა და ექიმის აბორტზე უარისთქმის სამართლებრივი ასპექტები; აბორტი და აბორტების ფინანსირება, აბორტი და სამედიცინო დაზღვევა;
5. ორგანოების გადანერგვის, ტრანსპლანტაციის ეთიკური ასპექტები, ტრანსპლანტაციის კომერციალიზაციის ზნეობრივი და სოციალური პრობლემატიკა;

6. ფეტალური თერაპიის<sup>3</sup> ეთიკურ–ზნეობრივი ასპექტები;
7. უჯრედული ტექნოლოგიების პრობლემატიკის განხილვა მართლმადიდებლურ–ზნეობრივი ცნობიერების შუქზე, ღეროვანი უჯრედების გამოყენების ტექნოლოგიების ეთიკური პრობლემები, ემბრიონალური ღეროვანი უჯრედების მედიცინაში გამოყენების დაუშვებლობის დასაბუთება;
8. ფსიქიატრიისა და ფსიქოთერაპიის ეთიკური პრობლემები ქრისტიანული თვალსაზრისით, ფსიქიური დაავადებების არსი ქრისტიანული გამოცდილების შუქზე;
9. პრენატალური დიაგნოსტიკის ეთიკური პრობლემები;
10. ხელოვნური, ექსტრაკორპორალური განაყოფიერების ეთიკური პრობლემები, ცოდვის მედიკალიზაცია და ხელოვნური განაყოფიერება;
11. სტერილიზაციის ეთიკური და სოციალურ–დემოგრაფიული ასპექტები;
12. სუროგატული დედობის ეთიკური პრობლემები, მისი შეფასება, როგორც დედობის ცნების გაუფასურება; მართლმადიდებლობის დამოკიდებულება სუროგატ დედებთან და სუროგატი დედების მიერ შობილი ბავშვების ნათლობის საკითხი;
13. გენეტიკურ–დემოგრაფიული კრიზისის მიზეზები და მათი ეთიკურ–ზნეობრივი შეფასებები;
14. სასმელის, თამბაქოს, აზარტული თამაშების, გარყვნილებისა და მისთ. რეკლამირების ეთიკური, სარწმუნოებრივი და სოციალური ასპექტები და შეფასებები.

ეკლესია არ ეწინააღმდეგება სამედიცინო მეცნიერების ბიოეთიკურად გამართლებულ მკურნალობის მეთოდებს. სირთულეს ქმნის ის, რომ მორწმუნეთა შორის არის განსხვავებული მოდგომები. მაგალითად, ღეროვანი უჯრედების გამოყენების მიმართ ზოგიერთი მართლმადიდებელი ექსპერტი დადებით განწყობას ინარჩუნებს (იხ. მაგ [14]), არის საწინააღმდეგო მოსაზრებებიც. რაც შეეხება

---

<sup>3</sup> ფეტალური თერაპია – სასიცოცხლო ძალების სტიმულირების მიზნით ადმიანის ორგანიზმში ემბრიონის (ადამიანის ან ცხოველის, დაახლ. 4-თვიანი ნაყოფის) ექსტრაქტის შეყვანა.

ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვას, უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესია თითოეულ შემთხვევას ინდივიდუალურად განიხილავს. ზოგიერთ შემთხვევაში ის ამას თავგანწირვის აქტებადაც კი აფასებს. მაგრამ ეკლესია დაუშვებლად მიიჩნევს ორგანოებით ვაჭრობასა და ტრანსპლანტაციის კომერციალიზაციას.

ამგვარად, ეკლესია მკვეთრად ნეგატიურად აფასებს და მიუღებლად მიიჩნევს ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა ადამიანის გენომაში ჩარევა, აბორტები, კლონირება, ევთანაზია, კრემაცია და ა.შ. სიცოცხლე – ეს არის ღმრთის მიერ ადამიანისთვის ბოძებული უმაღლესი საჩუქარი და მას პატივისცემით უნდა მოვეპყროთ. სიცოცხლის დასაწყისი ღმრთის განგებას განეკუთვნება, ასევე უნდა იყოს მისი აღსასრულიც.

ბიოეთიკის კონცეფციის შემუშავების დროს საზოგადო პრობლემა ეთიკის მიმართება სამართალთან, კანონებთან. სამართლის ყოველი სისტემა, რომელსაც ქმნის საზოგადოება, არის ისტორიული განვითარების პროდუქტი და შემოსაზღვრულობისა და არასრულყოფილების ბეჭედს ატარებს. სამართლის სფერო განსხვავდება ეთიკის სფეროსაგან, რადგან იგი ვერ ასახავს ადამიანის გულის შინაგან მდგომარეობას. გულთამხილველი კი მხოლოდ ღმერთია. სწორედ ეთიკურმა ნორმებმა და პრინციპებმა უნდა განსაზღვრონ რეგულირების ის სფერო, რომელსაც სამართალი თავისი შეზღუდულობის გამო ვერ არეგულირებს.

ქრისტიანული სოციალურ-სახელმწიფოებრივი ეთიკა მოითხოვს, რომ ადამიანისთვის შენარჩუნებულ იქნას გარკვეული ავტონომიურობის სფერო, სადაც მისი სინდისი "თვითხელისუფალი" იქნება, რადგან ნების თავისუფალ გამოხატულებაზე საბოლოოდ დამოკიდებული ხსნის ან დაღუპვის გზა. რწმენის, სიცოცხლის, ოჯახის უფლება – ის უფლებებია, რომლებიც იცავენ ადამიანის თავისუფლების შინაგან საფუძვლებს გარე ძალების თვითნებობისაგან.

ღმერთი იცავს ადამიანის თავისუფლებას, არასოდეს ძალადობს მის ნებაზე. და პირიქით, სატანა ცდილობს დაეუფლოს ადამიანის ნებას, დაიმონოს იგი. თუ კანონი შეესაბამება უფლის მიერ გამოვლენილ ღვთაებრივ ჭეშმარიტებას, მაშინ ის იცავს ადამიანის თავისუფლებას: „სადაც უფლის სულია, იქვეა თავისუფლება“ (2 კორ. 3:17), და, შესაბამისად, დაცულია პიროვნების უფლებები. ხოლო ტრადიციები,

რომლებიც არ ცნობენ ქრისტეს თავისუფლების პრინციპს, ცდილობენ ადამიანის სინდისი ლიდერის ან კოლექტივის გარე ნებას დაუქვემდებარონ.

მართლმადიდებელი ქრისტიანი ემორჩილება მიწიერ კანონებს. მაგრამ თუკი რომელიმე კანონის აღსრულება ადამიანის ცხოვნებისთვის დამაბრკოლებელია, მოითხოვს განდგომილებას ან ღმრთისა თუ მოყვასის მიმართ ცოდვის ჩადენას, მაშინ ქრისტიანი ღმრთაებრივი სიმართლისა და ცხოვნების სახელით მოწოდებულია აღმსარებლობისაკენ. ის კანონის ფარგლებში უნდა გამოდიოდეს საზოგადოების ან სახელმწიფოს მიერ ღმრთის ცნებების დარღვევის წინააღმდეგ, ხოლო როდესაც ასეთი გამოსვლა კანონის ფარგლებში შეუძლებელია, მაშინ მან უნდა დაიკავოს სამოქალაქო დაუმორჩილებლობის პოზიცია.

ჩვენი აზრით, სწორედ ზემოთ მოყვანილი მიდგომები და მოსაზრებები უნდა დაედოს საფუძვლად მართლმადიდებლური ეთიკის კონცეფციასა და პრინციპებს. ქართულ სინამდვილეში პუბლიკაციები ბიოეთიკის საკითხებზე მეტად მწირია ([20], [21]). ხოლო ახალი გამოწვევები მოითხოვენ ახალ მიდგომებსა და ახალ გააზრებებს წმინდა მამათა სწავლების საფუძველზე.

### **3. რა ბიოეთიკური პრობლემების წინაშე გვაყენებს Covid-19**

ბიოეთიკური შეფასების თვალსაზრისით ე.წ. კოვიდპანდემია ზემოთ მოყვანილ ზოგიერთ საკითხს ახლი კუთხით წარმოაჩენს. ამას გარდა წარმოიქმება ახალი პრობლემატური საკითხებიც, რომლებიც ასევე საჭიროებენ ეთიკურ შეფასებებს. კოვიდპანდემიასთან დაკავშირებით ბიოეთიკური კონცეფციის ჩამოყალიბების დროს წინა პლანზე გამოდის შემდეგი საკითხები და კითხვები:

1. არის თუ არა Covid-19 ვირუსი ხელოვნური, პანდემია კი დაუსაბუთებელი?

Covid-19 ვირუსის ლაბორატორიულ წარმომავლობაზე უკვე მთელი მსოფლიო საუბრობს. ნობელის პრემიის ლაურეატი, მსოფლიოს

უდიდესი ვირუსოლოგი, ლიუკ მონტანიე აცხადებს: "ეს ვირუსი, როგორც ჩანს, განსაკუთრებულია, რადგან იგი დამუშავებულია სხვა ვირუსის ნაწილების ან თუნდაც ქიმიური შემადგენლობის აღებით... მეცნიერებსაც კი ყიდულობენ... ამერიკელი, ფრანგი, ბრიტანელი მეცნიერები, თითქმის ყველა საუბრობს იმავე იდეაზე, რომ ეს ვირუსი შეიქმნა ბუნების მიერ. ეს არის სიცრუე, მათ ეს ძალიან კარგად იციან და რომ უბრალოდ არსებობს დიდი ტყუილი და ჩვენ უნდა ვიკითხოთ რატომ და რა არის ამის მიზეზი. პირველ რიგში, მათ უხდინან ფულს იმის სათქმელად, რასაც ამბობენ და თუ ასე არ იტყვიან, შეიძლება დაკარგონ ადგილი და კარიერა".

პანდემიის დაუსაბუთებლობა კი ეჭვს არ იწვევს. არამც თუ პანდემია, ეპიდემიაც კი არ გამოუცხადებია რომელიმე ქვეყანას, მათ შორის საქართველოს. და თუკი პანდემია ხელოვნურია, მაშინ მის დამკვეთთა ვინაობა შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს: ესაა ტრანსნაციონალური კორპორაციები, ფინანსური, ფარმაცევტული და IT გიგანტები, ბილი და მელინდა გეითსების, როკფელერის და სხვა ფონდები, საზოგადოდ, მსოფლიო პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური ელიტა და მათი სატელიტური ორგანიზაციები. აღმასრულებლები კი – ჯანმო (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია), ქვეყნების სახელისუფლები ორგანოები, სამეცნიერო-სამედიცინო ინსტიტუტები და მათი მოსამსახურე პირები. საზოგადოდ სიცრუე – ეს ეთიკური, მათ შორის ბიოეთიკური პრობლემაა.

2. ერთ-ერთი მთავარი შეკითხვა და პრობლემაა: არის თუ არა ვაქცინებში გამოყენებული აბორტირებული ემბრიონის უჯრედული ხაზი და როგორი უნდა იყოს ეკლესიისა და მორწმუნეთა დამოკიდებულება ასეთი პრეპარატებისა და, საზოგადოდ, პროდუქციის მიმართ?

პანდემიის აპოლოგეტები ამბობენ, რომ ეს ვაქცინები არ შეიცავს უჯრედულ ელემენტებს საწყისი უჯრედული ხაზისგან. თუმცა ეს ინფორმაცია თავად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) უარყო იმით, რომ დაადგინა ვაქცინების შემადგენლობაში ასეთი ელემენტების დასაშვებ რაოდენობაზე ლიმიტი.



ის, რომ ვაქცინების უმრავლესობაში აბორტირებული ემბრიონის უჯრედული ხაზი, ყველაზე ხშირად – HEK 293 (*Human Embryonic Kidney 293*) გამოიყენება, დადასტურებულია დოკუმენტურადაც, მათ შორის თავად ამ პრეპარატების პატენტებსა თუ ანოტაციებში.

კომპეტენტური სამეცნიერო შარლოტა ლოზიეს ინსტიტუტი (CHARLOTTE LOZIER INSTITUTE) თავის საიტზე 2021 წლის 4 იანვარს აქვეყნებს განახლებულ წერილს **COVID-19 Vaccine Candidates and Abortion-Derived Cell Lines**, რომელშიც საუბარია ვაქცინებზე, რომლებიც იყენებენ აბორტირებული ემბრიონის უჯრედულ ხაზს. ამ ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ კატალოგში მოყვანილია მონაცემები დღემდე არსებული ე.წ. ვაქცინების უმრავლესობასთან დაკავშირებით. დაწვრილებით იხილე [1].

ორგანიზაცია IFN - საერთაშორისო ოჯახური სიახლეები - აქვეყნებს წერილს: "კორონავირუსის ვაქცინები აბორტირებული ბავშვების უჯრედული ხაზის საფუძველზე", და სხვათა შორის აღნიშნავს: **"აბორტირებული ჩვილების ნაშთებზე სამედიცინო ბიზნესის გაშლას მიყვაროთ იქითკენ, რომ აბორტები წახალისებული და დაჯილდოებადი ხდება, რადგან მათი ჩამდენი ექიმები ფარმაცევტული კომპანიებისაგან შემოსავალს იღებენ"**. დაწვრილებით იხილე [2].

პანდემიის მესვეურები ამბობენ, რომ ემბრიონის უჯრედების რეპროდუცირება ხდება ლაბორატორიაში და ამით ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს მათ არაფერი აქვთ საერთო უშუალოდ ემბრიონიდან აღებულ პირველად "დედა" უჯრედებთან. ეს სიცრუეა. მარტივად რომ ვთქვათ, რათა მიიღონ სასურველი უჯრედები, ვაქცინების შემქმნელები მათ იღებენ ემბრიონის ქსოვილებისგან, რომელსაც ისინი ამ მიზნით ჯერ კიდევ ცოცხალს ანაწევრებენ! ამრიგად, გამოყენებული უჯრედები აღებულია გაკვეთილი ქსოვილიდან და ეს ქსოვილი ეკუთვნის მოკლულ ადამიანს [4]. ეს აბსოლუტურად მიუღებელია ქრისტიანული ეთიკისათვის და ასეთი წარმოუდგენელი სისასტიკის მიმართ ეკლესია ვერ დარჩება გულგრილი.

მან ხმამაღლა უნდა განაცხადოს, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ზნეობრივად კატეგორიულად მიუღებელია ისეთი პრეპარატებისა და პროდუქციის მოხმარება, რომლებშიც ნებისმიერ

ეტაპზე გამოყენებულია აბორტირებული ემბრიონის უჯრედებული ხაზი. ამაზე მრავალი სასულიერო პირი თუ ცნობილი მეცნიერი საუბრობს, კერძოდ, აცხადებს, რომ ეს ატარებს აშკარა უზნეობისა და ბოროტმოქმედების ხასიათს, რომ ეს მიუღებელია და ცოდვას წარმოადგენს. განსჯის რა აბორტს, ეკლესიას არ შეუძლია მას გამართლება მოუძებნოს, თუნდაც ჯანდაცვითი სარგებლის საბაზით.

საბერძნეთის ერთ–ერთი ისტორიული მონასტრის მონაზონი, ყოფილი ექიმი ქალი, ამ თემაზე საუბრისას აღნიშნავს: "მკურნალობის მიზნით აბორტირებული ემბრიონისაგან მიღებული უჯრედის ხაზის შემცველი ვაქცინის მიღებით შენ ღმრთივსაძულველი მკვლელობის თანამონაწილე ხდები და ღმრთის წინაშე, იროდის მსგავსად, ხელსისხლიანი წარსდგები... ასეთი ვაქცინით აცრილი კლირიკოსი ხარისხიდან განყენების ღირსია!" [3].

მღვდელი სტილიანი (კარპატიუ), დიპლომირებული ექიმ–ფსიქიატრი, ღვთისმეტყველი, ათენის უნივერსიტეტის ბიოეთიკის პროფესორი, ელადის ეკლესიის წმინდა სინოდისადმი თავის მიმართვაში კერძოდ აღნიშნავს: "იქამდე მივედით, რომ კაცობრიობის გადარჩენის საბაზით ვაქცინების ექსპერიმენტული შემუშავებისა და წარმოების დროს დაიწყეს აბორტირებული ჩვილის უჯრედების გამოყენება... ბიოეთიკური შეფასებაა: ასეთი მეთოდების გამოყენებისას ხდება ადამიანების სიცოცხლის გაუფასურება, რომლებიც მსხვერვლად ეწირებიან ლაბორატორიებში, როგორც რაღაც საკერპოებში".

3. მიზანშეწონილია თუ არა გენური ინჟინერიით შექმნილი ვაქცინების მოხმარება. ასევე დასაშვებია თუ არა არალიცენზირებული, გამოუცდელი და ექსპერიმენტული ვაქცინების მიწოდება მოსახლეობისათვის.

პასუხი ცალსახაა: არ შეიძლება, დაუშვებელია და დიდ საფრთხეებს შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამას ადასტურებს უკვე არსებული გამოცდილება, ამაზე საუბრობენ სახელოვანი მეცნიერები და სპეციალისტები.

გენური ინჟინერიის ტექნოლოგიებით შექმნილი ვაქცინები, როგორცაა m-RNA ვაქცინები (Pfizer-Moderna), ასევე ვექტორული

ვაქცინები (Astra Zeneka და Johnson & Johnson), იმით განსხვავდებიან ტრადიციული ვაქცინებისაგან, რომ ტრადიციული ვაქცინები არ აღწევენ ადამიანის უჯრედებში, ხოლო m-RNA და ვექტორული ვაქცინები აღწევენ და ინერგებიან ჩვენს უჯრედებში – ჩვენი ბიოლოგიური ცხოვრების ამ ქვაკუთხედში – და შეიძლება გამოიწვიონ მათი ცვლილება. სწორედ ამ მიზეზით წარმოიქმნება მრავალი გვერდითი რეაქცია და სასიკვდილო შედეგი.

ამ სფეროში ყველაზე კომპეტენტური, ალბათ, არის მრნმ ტექნოლოგიებისა და მრნმ ვაქცინების გამომგონებელი, ამერიკელი მეცნიერი, დოქტორი რობერტ მელოუნი (Robert W. Malone). თავისი გამოგონება მან 1988–89წწ. დააპატენტა. მან საჯაროდ ილაპარაკა მრნმ ვაქცინის მიღებით გამოწვეულ პოტენციურ საფრთხეებზე და გააკეთა შენიშვნები, რომლებიც შეეხებოდა ხელისუფლების მიერ ვაქცინაციის იძულების ღონისძიებებს, ასევე ექსპერიმენტული გენური თერაპიის გვერდით მოვლენებს. კერძოდ მან აღნიშნა: «მე ვფიქრობ, რომ ადამიანებს აქვთ უფლება გადაწყვიტონ, მიიღონ თუ არა ვაქცინა, მით უმეტეს, რომ ეს ექსპერიმენტული ვაქცინებია... მე მაშფოთებს და ვიცი, რომ არსებობს რისკები. ჩვენ არა გვაქვს წვდომა მონაცემებზე, ხოლო მონაცემების რეგისტრირება არ ხდება იმდენად მკაცრად, რომ შევაფასოთ ეს რისკები» [7].

ნობელის პრემიის ლაურეატი, ლიუკ მონტანიე აცხადებს: "ვაქცინირებულთა დნმ უკვე შეიცვალა. თქვენ არ უნდა ჩარეულიყავით მასში. ექიმები, რომლებიც ვაქცინებს მხარს უჭერენ, ბრიყვები არიან, არ იციან, რას აკეთებენ» [8].

ტეხასის ჯანმრთელობის ცენტრის დამფუძნებელმა და დირექტორმა, დოქტორმა სტივენ ჰოტცემ განაცხადა: "მოდერნას მანამდე არასდროს გამოუყენებია მრნმ–ზე დაფუძნებული გენური თერაპია ადამიანებზე იმიტომ, რომ 2000–იან წლებში ცხოველებზე ჩატარებული ყველა ექსპერიმენტი უკიდურესად წარუმატებელი იყო. ეს არის ორგანიზმის გენური თერაპია სინთეტიკური ვექტორული რნმ–ით, რომელიც აღწევს და იწყებს თქვენს უჯრედებში კორონავირუსის პროტეინების გამომუშავებას, რომელზეც შემდეგ თქვენმა ორგანიზმმა იმუნური პასუხი უნდა გამოიმუშავოს".

2021 წლის 15 აპრილს გამოქვეყნდა ექიმთა დამოუკიდებელი ასოციაციის მიერ გაკეთებული კომპლექსური ექსპერტული დასკვნა "იმუნოპროფილაქტიკური პრეპარატების ანალიზი SARS-CoV-2 პროფილაქტიკისთვის". ამ დასკვნის თანახმად, "დნმ-ვაქცინები და რნმ-ვაქცინები ქმნიან პირდაპირ საფრთხეს, გამოიწვიონ ადამიანის გენომის უკონტროლო რედაქტირებები (ცვლილებები). ამისთვის საიმედო სტატისტიკის შეგროვებასა და ვაქცინაციის შემდგომი გართულებებისა და ადამიანის გენომის ცვლილებების შესახებ ყველა შეგროვებულ მონაცემთა სრულყოფილად შესწავლას სჭირდება 15-დან 25 წლამდე და კვლევაში მონაწილეთა სტატისტიკურად საჭირო რაოდენობა".

«თანამედროვე ვექტორული ვაქცინები (როგორცაა Gam-Covid-Vac, Gam-Covid-Vac-Lyo, AstraZeneca, Janssen) – ეს არის გენური ინჟინერიით მიღებული პრეპარატები, დნმ-ვაქცინები და არიან გმო პროდუქტები». «დნმ-ვაქცინები ადამიანის გენომის უკონტროლო რედაქტირების პირდაპირ საფრთხეს ქმნიან».

უფრო მარტივად და გასაგებად ამის შესახებ ისაუბრა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, მეცნიკოვის სახელობის ვაქცინებისა და შრატების სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა ვიტალი ზვერევმა: «რნმ-ვაქცინაციის დროს ადამიანი თავად აწარმოებს კორონავირუსის ანტიგენებს, შემდეგ იმუნური სისტემა მათ წინააღმდეგ ანტისხეულებს გამოიმუშავებს. არა მგონია, ეს კარგი სვლა იყოს. თავდაპირველად ეს მეთოდიკა კიბოს წინააღმდეგ საბრძოლველად შემუშავდა და არსებობს ამის გამართლება - სერიოზულად დაავადებული ადამიანის მკურნალობა, რომელსაც სიკვდილი ემუქრება. აქ კი ასეთი ვაქცინა ჯანსაღ ადამიანებს უნდათ რომ შეუყვანონ. არ მომწონს ეს მიდგომა. გარკვეულწილად ადამიანის სხეული გენმოდიფიცირებული ხდება - იგი უცხო ცილას აწარმოებს (კორონავირუსის ანტიგენს) ამ ვირუსის რნმ-ის საფუძველზე, რომელიც მას ვაქცინის სახით შეუყვანეს. ჯერ არავინ იცის, თუ რა მოხდება შემდეგ».

პროფესორი და ნანოპათოლოგი სტეფანო მონტანარი აცხადებს: "ვაქცინა – ეს წამალია, რომელიც შეიცავს პათოგენის გენურ მასალას... მათ იმიტომ ვერ შექმნეს ვაქცინა, რომ ვერ შეძლეს ვირუსის გამოყოფა".

4. ეთიკური პრობლემაა სიცრუე და დეზინფორმაცია, ვაქცინაციის პროპაგანდა და საზოგადოების დაყოფა და ერთმანეთთან დაპირისპირება. ამ კამპანიამ მსოფლიოში კოვიდ-იდეოლოგიის, მეტიც – კოვიდ-ფაშიზმის სახე მიიღო.

სიცრუის დემონსტრირებაა, როდესაც ადამიანებს უმაღლეს რეალურ სურათს, განსაკუთრებით ვაქცინებთან და ვაქცინაციასთან დაკავშირებით. სახეზეა მიზანმიმართული დეზინფორმაცია, რომელიც მიმართულია კოვიდ-პანიკის დასათესად, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანი აიძულოს ფსიქოლოგიურად და ადმინისტრაციული ზეწოლით აიცრან პრეპარატებით, რომლებიც მეტად საშიში არიან ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების სქემა მარტივი და აპრობირებულია: დეზინფორმაცია → შიში → პანიკა → გონიერების დაბინდვა → პროცესების მართვა დაგეგმილი მიმართულებით. მთავარი მიზანია საყოველთაო ვაქცინაცია, მთელი მსოფლიოს ნემსზე დასმა, რაც თანამედროვე ნანოტექნოლოგიების გამოყენებით იძლევა უზარმაზარ შესაძლებლობებს მოსახლეობის მასობრივი მართვისა და კონტროლისათვის, დემოგრაფიული კორექტირებისათვის, მეტიც, ჩიპირებისათვის.

სიცრუე და დეზინფორმაცია წარმოებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა:

- 1) ვაქცინები, მათი ნაჩქარევად შექმნისა და წარმოების ტექნოლოგიები, მათი სტატუსი და ლიცენზირება და ა.შ.;
- 2) ვაქცინაციის გვერდითი მოვლენები, განსაკუთრებით ბავშვებისათვის, ორსული ქალებისთვის ან მათთვის, ვინც მომავალში გეგმავს ბავშვის გაჩენას, კერძოდ რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით;
- 3) ვაქცინის ფატალური გვერდითი რეაქციები;
- 4) მკურნალობის ალტერნატიული საშალებები;
- 5) ტესტირების, ნიღბებისა და სოციალური იზოლირების მავნებლობა და ა.შ.

მსოფლიოს უდიდესი ვირუსოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ლიუკ მონტანიე ვაქცინაციის შემდგომ სიკვდილის სამ მიზეზს ასახელებს: «ვაქცინაციის შემდეგ სიკვდილის პირველი მიზეზი იქნება ვაქცინის ცილის Spike-ის ტოქსიკურობა; მეორე მიზეზი გამოჩნდება შემოდგომაზე აღენდის ფენომენის (დაავადებებზე დამოკიდებული ანტისხეულები) გამო; მესამე იქნება ავტოიმუნური დაავადებები, როგორცაა სკლეროზი, გვექნება კიბო და უნაყოფობა. ასევე გვექნება დაავადებები, რომლებიც გადაეცემა მომავალ თაობას. ვაქცინირებულთა დნმ უკვე შეიცვალა. თქვენ არ უნდა ჩარეულიყავით მასში. ექიმები, რომლებიც ვაქცინებს მხარს უჭერენ, ბრიყვები არიან, არ იციან, რას აკეთებენ» [8].

სხვა ინტერვიუში მონტანიე აღნიშნავს: "მე შევეცდები დავაშოშმინო ენთუზიაზმი ვაქცინაციის გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც, ისევე როგორც ვაქცინა, არის გრძელვადიანი გეგმა გრძელვადიან პერსპექტივაში, და აქ ჩვენ ვთხოვთ ადამიანებს, დაუყოვნებლივ წავიდნენ ამ (ვაქცინაციის გავლის) პროცედურიდან, და თუ ისინი ამას მიიღებენ (თუკი ისინი ვაქცინირებულ იქნებიან), ეს შეცდომა იქნება. იმიტომ, რომ ჩვენ რისკს ვეწვეით მივიღოთ გაუთვალისწინებელი შედეგები, მაგალითად კიბო და ა.შ... არ შეიძლება ადამიანების ზღვის გოჭებად გამოყენება, არ შეიძლება ბავშვების ზღვის გოჭებად გამოყენება. ეს აბსოლუტურად უზნეობაა, იმიტომ რომ იყო ვაქცინებისგან სიკვდილის შემთხვევები... არსებობს მკურნალობის უფრო იაფი მეთოდები, ისეთი, როგორცაა აზიტრომიცინი (Azithromycine), ჰიდროქსიქლოროქინი (Hydroxychloroquine) და მრავალი სხვა... ჩვენ არ ვიცით ვირუსის ფესვი... ჩვენ არ ვიცით რა მოხდა უხანში და ზოგიერთ ამერიკულ ლაბორატორიაში, რაც წინ უძღოდა ამ ვირუსის გამოჩენას. მე არ გავიკეთებ აცრას". [10]

Pfizer-ის ვაქცინის დახასიათებაში არაორაზროვნადაა ნათქვამი, რომ კომპანიას არ გააჩნია გამოცდილება ორსულ ქალებისათვის მათი გამოყენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ამავდროულად, ახალი კვლევები გვაცნობებს სერიოზულ გვერდით ეფექტებს, რომლებიც ვლინდება ორსულ ქალებში ვაქცინაციის შემდეგ. დაავადებათა კონტროლის ცენტრის 08/01/2021 წლის ანგარიშში ნათქვამია იმ დაახლოებით 1175 ჩვილის შესახებ, რომლებიც

დაილუპნენ საშვილოსნოში მას შემდეგ, რაც დედები კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრნენ [5].

მიჩუმათებულია საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს Covid-19-ის მკურნალობის ალტერნატიული გზები, მათ შორის უკვე წლების განმავლობაში ცნობილი პრეპარატებითა და მეთოდებით. კრისტიან პერონი – ინფექციური დაავადებების პროფესორი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საფრანგეთში ვაქცინებთან დამოკიდებულების პოლიტიკას, იყო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპული საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე, აცხადებს: "არსებობს ასობით პუბლიკაცია, რომლებიც აჩვენებენ, რომ არსებობს მკურნალობის მეთოდები. ესაა ჰიდროქსიქლორინი, აზიტრომიცინი, ივერმექტინი, ცინკი, ვიტამინი D და ა.შ. არსებობს პუბლიკაციები, რომლებიც აჩვენებენ, რომ ეს ე.წ. "ვაქცინები" უსარგებლოა, იმიტომ რომ თქვენ შეგიძლიათ შესანიშნავად აკონტროლოთ ეპიდემია. შტატებში, სადაც ავადმყოფებს მკურნალობდნენ ივერმექტინით, დიქსოციკლინით და ვიტამინ D-თი ეპიდემია დაბალ დონეზე რჩებოდა. ხოლო იქ, სადაც ანტიბიოტიკები და ვირუსსაწინააღმდეგო პრეპარატები აკრძალეს და პროპაგანდას უწევდნენ "ვაქცინებს", ასევე რემდესივირს (მეტად ტოქსიკურ და არაეფექტურ პრეპარატს), ჩვენ ვხედავთ რეციდივს ახალგაზრდა გარდაცვალებულიებით" [9].

ტეხასელი ექიმი, დოქტორი სტივ ჰოუტცი (Dr. Steve Hotze), ჰიუსტონის ჯანმრთელობის ცენტრ Vitamins & Hotze Pharmacy-ს დამარსებელი, 8 შვილის მამა და 23 შვილიშვილის ბაბუა, რომელმაც რევოლუცია მოახდინა ჯანდაცვის სფეროში, განკურნა რა 30 000-ზე მეტი პაციენტი ბუნებრივი საშუალებებით, განგაშის ზარს სცემს და აცხადებს, რომ "ის, რასაც ისინი COVID-19-ს ვაქცინას უწოდებენ, საერთოდ არ არის ვაქცინა! სინამდვილეში ის სხვა არაფერია, თუ არა ექსპერიმენტული გენური თერაპია! მაშ, რატომ უწოდებენ ვაქცინას? იმიტომ, რომ თუ მას ვაქცინად ჩავთვლით, მაშინ ფარმაზანდიტებს, კანონის ძალით, არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება ასეთი ვაქცინის გამოყენების შედეგად ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის, მეტიც – სიკვდილიანობის შემთხვევაში!" [11].

ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულმა მრავალმა ექიმმა წარმატებით უმკურნალა თავის პაციენტებს საკუთარი გამოცდილებითა და აპრობირებული სამედიცინო მეთოდებით, თავისი ცოდნით პათოლოგიურ ფიზიოლოგიის დარგში. სწორედ ისინი ცდილობდნენ აერიდებინათ თავიდან ავადმყოფების დაუსაბუთებელი ჰოსპიტალიზაცია და მათი მოთავსება ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში, სადაც არასწორი მკურნალობის გამო უკვე მრავალი გარდაიცვალა.

5. დგება ბიოეთიკური პრობლემა მაგნეტიზმის, ნანონაწილაკებისა და განსაკუთრებული "ჩიპის" ადამიანის ორგანიზმში შეყვანასთან დაკავშირებით.

ცნობილი და აღიარებულია, რომ Pfizer-ის ვაქცინაში შემავალი ცილა მართლაც დაფარულია ლიპიდური ნანონაწილაკით. სხვა ინტერვიუში (იხ. [4]) Apiject Systems-ის გენერალურმა დირექტორმა ჯედ უოკერმა განაცხადა, რომ პროექტ "Project Jumpstart"-ის ფარგლებში დაგეგმილია მილიონობით ვაქცინის მიწოდება, რომლებიც შეიძლება შეიცავდნენ რადიო-იდენტიფიკაციის ჩიპს RFID, ვაქცინაციის კონტროლისათვის.

ბიოტექნოლოგიურმა გიგანტმა, კომპანია Moderna-მ აღიარა, რომ ისინი ვაქცინაციით ახდენენ ადამიანების ჩიპირებას. ეს ცნობილი გახდა Moderna-ს ოფიციალური საიტიდან: <https://www.modernatx.com/mrna-technology/science-and-fundamentals-mrna-technology>

6. კოვიდ-იდეოლოგია შეიცავს ერეტიკული ცრუ სწავლების ელემენტებს. მე-4 მსოფლიო კრებაზე წმინდა მამებმა და ეკლესიის აღმსარებლებმა გამოაცხადეს, რომ ღმერთ-კაცი ქრისტე მამის თანაარსია თავისი ღვთაებრივი ბუნებით და ადამიანის თანაარსია თავისი ადამიანური ბუნებით. აბორტით, ანუ ბავშვის მოკვლით ჩვენ ვკლავთ ქრისტეს ცოცხალ ხატებას და ვვარდებით ხატმბრძოლობის ყველაზე უარეს ფორმაში, რომელიც გაგებულია როგორც ბრძოლა ღვთის ხატების წინააღმდეგ. კოვიდიდეოლოგიის ავტორთა ბოროტება განუზომელია, რადგან ისინი ცდილობენ გაამართლონ აბორტის



საშინელი, სატანისტური რიტუალის მსგავსი დანაშაული. ამასთან ცდილობენ შთააგონონ ქრისტიანებს, რათა მათ დასაშვებად მიიჩნიონ ე.წ. "თერაპევტული აბორტი".

7. ისმის კითხვა: "შეუძლიათ თუ არა ვაქცინებს გავლენა იქონიონ ადამიანის პიროვნებაზე?"

ფაქტია, რომ უკვე აღინიშნა ვაქცინების მრავალი ისეთი გვერდითი მოვლენა, რომლებიც მუდმივად ვლინდება, როგორებიცაა ფსიქიკური დაავადების გამწვავება, ნეიროდეგენერაციული დაავადებების ადრეული გააქტიურება (პარკინსონის, ალცჰეიმერის დაავადება და სხვა), პათოლოგიური ცილების (პროიონების) წარმოქმნა, რომლებიც იწვევენ სასიკვდილო და ნეიროდეგენერაციულ დაავადებებს. ამგვარად, ზემოთ დასმულ კითხვაზე სწორი და მეცნიერული პასუხი ასეთია: დიახ, covid-19 ვაქცინები უარყოფით გავლენას ახდენენ ტვინზე, ადამიანის ფსიქიკაზე და ამდენად შეუძლიათ შეცვალონ ადამიანის პიროვნება, დააბრკოლონ ღმრთის მსგავსებისაკენ მისი მისწრაფება. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არც მათ და არც სხვა პრეპარატებს არ შეუძლიათ შეცვალონ ადამიანის ხატება.

აქვე მოკლედ აღვნიშნავთ, რომ მართლმადიდებლური ანთროპოლოგია მეცნიერულისაგან განსხვავებით ადამიანის ღმრთის განცდისა და შემეცნების, მეტყველების, აზროვნებისა და სწრაფვის მთავარ ორგანოდ მიიჩნევს არა გონებასა და ტვინს, არამედ გულს. მოკლედ ეს გადმოცემულია მაცხოვრის სიტყვებში: **"ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ"**. ამის შესახებ საუბრობს წმ. ლუკა (ვოინო-იასენეცკი) [24].

8. ბიოეთიკის კონცეფციის შემუშავებისას ეკლესიამ უნდა განიხილოს სოციალური იზოლაციის ფენომენი. ადრე ამ სფეროში ექსპერიმენტებს მხოლოდ მღრღნელებზე ატარებდნენ. ახლა ახალი მსოფლიო წესრიგის აპოლოგეტებმა ამ ექსპერიმენტში მთელი მსოფლიოს მოსახლეობა ჩართეს.

ბევრმა ქვეყანამ მიიღო საყოველთაო იზოლაციისა და სხვა სოციალური დისტანცირების ზომები, რომლებიც ზღუდავს ინდივიდების ფიზიკურ, სოციალურ ურთიერთობას. მსოფლიო ისტორიამ ჯერ არ იცის ასეთი მასშტაბური და შორს მიმავალი ზომები, რომლებმაც რამდენიმე კვირაში მილიარდობით ადამიანს თავისუფლად გადაადგილებისა და საარსებო წყაროს მოპოვების შესაძლებლობა შეუზღუდა. კაცობრიობის ისტორიამ იცის ეპიდემიის მრავალი მაგალითი, ასევე იცის პანიკის მაგალითები და ეპიდემიების შიშები, რომლებმაც უფრო დიდი მსხვერპლი და სავალალო შედეგები მოიტანეს, ვიდრე თავად ეპიდემიამ. სწორედ ამგვარ სურათს ვხედავთ დღეს COVID-19-ს შემთხვევაში.

ეკლესია ასევე გვერდს ვერ აუვლის შემდეგ კითხვებს:

9. პრეპარატებით ან რაიმე ქმედებით გამოწვეული სერიოზული გვერდითი მოვლენების შემთხვევაში პირი, რომელიც მოუწოდებდა ამისკენ, აგებს თუ არა პასუხს გართულებებისა თუ სიკვდილის გამო? და თუ აგებს, მაშინ რა პასუხისმგებლობა ეკისრება ასეთ სასულიერო პირს?

10. თუკი მაცხოვარი იესო ქრისტე პატივს სცემს ადამიანის აბსოლუტურ თავისუფლებას, როგორ შეილება იყოს მისაღები შესაბამისი პასუხისმგებლობის გარეშე დარჩენილი რომელიმე სავალდებულო ზომა – სამედიცინო ქმედება, რომელსაც მოჰყვება ჯანმრთელი ადამიანის, განსაკუთრებით ბავშვის სიკვდილი ან ჯანმრთელობის გაუარესება? უნდა დაემორჩილოს ადამიანი ასეთ იძულებას?

11. ეკლესიის ისტორიამ იცის პერიოდები, როდესაც ეკლესიის სწავლებისა და სინდისის დასაცავად გამოდიოდნენ ერთეულები (მაგ., მაქსიმე აღმსარებელი, მარკოზ ეფესელი და ა.შ.). და თუ ეს ასე იყო საღვთისმეტყველო საკითხებში, მაშინ რატომ არ უნდა მივიჩნიოთ სამედიცინო საკითხებში დასაშვებად ის, რომ ისინი, ვინც გამოდიან კოვიდპანდემიის სამედიცინო თუ სხვა ზომების წინააღმდეგ (მათ

შორის ნობელიანტები თუ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები), სწორედ ისინი იცავენ სამედიცინო ჭეშმარიტებასა და სინდისს, და არა კორუმპირებული, პოლიტიკურად და ფინანსურად ანგაჟირებული ჩინოვნიკები თუ გავლენის აგენტი სამედიცინო თუ სხვა სახის პერსონალი?

#### **4. ბიოეთიკური კონცეფციის შემუშავების სამართლებრივი წანამძღვრები.**

Covid-19–თან დაკავშირებით სამართლებრივი საკითხების განხილვისას აუცილებელია შემდეგ კითხვებზე დასაბუთებული პასუხის გაცემა:

1. Covid-19–ის გავრცელებასთან საბრძოლველად ან მის სამკურნალოდ სავალდებულო ვაქცინაციის შემოღებას და ნებისმიერ სხვა პრევენციულ ან კონტროლის ზომებს, რომლებიც ახორციელებენ ადამიანის ორგანიზმში იძულებით ჩარევას, აქვთ თუ არა იურიდიული ძალა ადამიანის უფლებათა კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლის გარანტიების შესაბამისად?

ამ კითხვაზე მოკლე პასუხი ასეთია: არ აქვთ იურიდიული ძალა და უკანონონი არიან.

2. რა სამართლებრივი საშუალებები იცავენ ფიზიკურ პირს მის მიართ გამოყენებული არაკონსტიტუციური ზომებისა და ქმედებების შემთხვევაში?

მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშიზმის მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი საშინელი დანაშაულებების გამოცდილების შემდეგ მსოფლიო საზოგადოებამ საერთაშორისო სამართლის მკაფიო და მკაცრი ნორმები ჩამოაყალიბა, რომლებიც აუცილებელია ადამიანების ფუნდამენტური უფლებების დასაცავად. ეს კანონები საერო სამართლის თვალსაზრისით სავალდებულოა მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვისა და ხალხებისთვის. კოვიდ–იდეოლოგია აშკარად შეიცავს ფაშიზმის ელემენტებს. ზემოთ დასმულ შეკითხვაზე მოკლე

პასუხი შემდეგია: ასეთი დაცვის საშუალებებია საერთაშორისო სამართალი და კანონიერების კონსტიტუციური საფუძვლები. რაც შეეხება მართლმადიდებელ ქრისტიანს, ის თავის არჩევანს აკეთებს თავისი რწმენის საფუძველზე, ეკლესიის სწავლების, მისი სამართლის შესაბამისად.

უმთავრესი დოკუმენტი, რომელიც იცავს საქართველოს მოქალაქეს დისკრიმინაციისაგან პირადი შეხედულებისა და არჩევანის გამო, არის კონსტიტუციის მე-11 მუხლი "თანასწორობის უფლება", რომელშიც აღნიშნულია (ხაზგასმა ყველგან ჩვენია):

**"ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით."**

"სხვა შეხედულებებში" იგულისხმება ადამიანის კერძო შეხედულებები და მისგან გამომდინარე არჩევანის უფლება (მათ შორის ვაქცინაციასთან დაკავშირებით) და არავის აქვს უფლება განსაჯოს ეს შეხედულებები. თავისი შეხედულებებიდან გამომდინარე ადამიანის არჩევანის ხელყოფა კონსტიტუციური უფლების ხელყოფის ტოლფასია.

მსგავსი მიდგომა საქართველოს კანონში "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", რომლის პირველი მუხლი ამბობს: "ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის... ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად". აქაც ცნებას "ან სხვა შეხედულებები" იგივე შინაარსი აქვს, როგორც კონსტიტუციაში.

უფლებადაცვითი თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ევროპის საბჭოს 2021 წლის 27 იანვრის საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ #2361 რეზოლუცია, რომლითაც ევროსაბჭომ წევრ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, მოუწოდა უარი თქვან სავალდებულო ვაქცინაციაზე და დისკრიმინაციაზე იმ პირების მიმართ, რომლებმაც

უარი თქვეს ვაქცინაციაზე. კერძოდ, რეზოლუციის მე-7 პუნქტში დადგენილია:

**7.3.1 უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოქალაქეების ინფორმირება, რომ ვაქცინაცია არ არის სავალდებულო და არავინ დაექვემდებაროს პოლიტიკურ, სოციალურ ან სხვა სახის ზეწოლას ვაქცინაციის უარყოფის გამო, თუ ამის გაკეთება მას არ სურს;**

**7.3.2 უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ არავინ იყოს დისკრიმინირებული ვაქცინაციის უარყოფისთვის, ჯანმრთელობის შესაძლო რისკების მიზეზით ან ვაქცინაციის სურვილის არ ქონის გამო.**

მიმდინარე კოვიდპანდემიასთან დაკავშირებით ევროსაბჭოს ბიოეთიკის კომიტეტმა 2020წ. 14 აპრილს გაავრცელა განცხადება, რომელშიც საუბარია ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემის ფუძემდებლურ პრინციპებზე, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მიმდინარე კრიზისის კონტექსტში სამედიცინო გადაწყვეტილებების მიღებისა და სხვადასხვა პრაქტიკების განხორციელების დროს [15].

ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ 1997 წლის 4 აპრილის კონვენცია (იხ. [16]) შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც თანხმობაში არიან ბიოეთიკის ჩვენი უღ გაცემასთან. გთავაზობთ ამ ნორმებს ამონარიდის სხით:

## კონვენცია

### ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ პრეამბულა

ქვემოთ ხელის მომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, სხვა სახელმწიფოები და ევროპის გაერთიანება... სურთ რა, საზოგადოების თითოეულ წევრს შეახსენონ მისი უფლებების და პასუხისმგებლობის შესახებ... გადაწყვიტეს რა ბიოლოგიასა და მედიცინაში პიროვნების ღირსებისა და ძირითადი უფლებებისა და

თავისუფლებების დამცავი ღონისძიებების გატარება... შეთანხმდნენ შემდეგზე:

## **თავი I. ზოგადი დებულებები**

### **მუხლი 1. მიზანი და ამოცანა**

კონვენციის მონაწილე მხარეებმა უნდა დაიცვან თითოეული ადამიანის ღირსება და ინდივიდუალობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყონ მათი ხელშეუხებლობა და სხვა უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ბიოლოგიასა და მედიცინაში.

თითოეულმა მხარემ თავის კანონმდებლობაში უნდა შეიტანოს ამ კონვენციის დებულებების განხორციელებისათვის საჭირო ცვლილებები.

### **მუხლი 2. ადამიანის უზენაესობა**

ადამიანის ინტერესები და კეთილდღეობა უზენაესია საზოგადოების და მეცნიერების ინტერესებთან შედარებით.

### **მუხლი 5. ზოგადი წესი**

ნებისმიერი ჩარევა ჯანმრთელობის სფეროში უნდა ჩატარდეს პირის მიერ ნებაყოფლობით გაცხადებული და გააზრებული თანხმობის მიღების შემდეგ.

პირს წინასწარ უნდა მიეცეს შესაბამისი ინფორმაცია ჩარევის მიზნისა და ხასიათის, აგრეთვე შედეგებისა და საფრთხის შესახებ.

პირს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს უარი თქვას ადრე განცხადებულ თანხმობაზე.

### **მუხლი 16.**

ადამიანზე სამეცნიერო კვლევა შეიძლება ჩატარდეს, თუ დაცულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

i) განზრახულ სამეცნიერო კვლევას არ გააჩნია მსგავსი ეფექტის მქონე ალტერნატივა;

ii) კვლევასთან დაკავშირებული საფრთხე განუზომლად მცირეა მოსალოდნელ დადებით შედეგებთან შედარებით;

v) მე-5 მუხლით გათვალისწინებული თანხმობა გაცხადებულია მკაფიოდ, კონკრეტულად და ფიქსირებულია წერილობით. თანხმობის ნებაყოფლობითი გაუქმება შეიძლება ნებისმიერ დროს.

#### **მუხლი 24. კომპენსაცია არასწორი ქმედებით მიყენებული ზარალისათვის**

პირს უფლება აქვს ჩარევის შედეგად მიყენებული ზარალისათვის მიიღოს სამართლიანი კომპენსაცია კანონით გათვალისწინებული პირობებისა და პროცედურების დაცვით.

აღვნიშნოთ, რომ ეკლესიას, მის ყველა წევრს აღმსარებლობის თავისუფლების კონსტიტუციური უფლებიდან, ასევე სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების სულისკვეთებიდან გამომდინარე, ეთიკური და სარწმუნოებრივი მოსაზრებებით, შეიძლება ჰქონდეს თავისი აზრი და მიდგომა მკურნალობასთან, მათ შორის ვაქცინაციასა და ვაქცინებთან დაკავშირებით, რომელსაც ხელისუფლება გაგებითა და პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს. კვლავ გავიმეორებთ, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი ემორჩლება მიწიერ კანონებს. მაგრამ თუკი რომელიმე კანონის აღსრულება ადამიანის ცხოვნებისთვის დამაბრკოლებელია, მაშინ ქრისტიანი ღმრთაებრივი სიმართლისა და ცხოვნების სახელით მოწოდებულია აღმსარებლობისაკენ, კანონის ფარგლებში უნდა გამოდიოდეს საზოგადოების ან სახელმწიფოს მიერ ღმრთის ცნებების დარღვევის წინააღმდეგ, ხოლო როდესაც ასეთი გამოსვლა კანონის ფარგლებში შეუძლებელია, მაშინ მან უნდა დაიკავოს სამოქალაქო დაუმორჩილებლობის პოზიცია.

დასასრულ, მივმართავთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას თხოვნით: შექმნას ბიოეთიკის კომისია, რომელიც შეისწავლის დღევანდელ მსოფლიოში წარმოქმნილ ბიოეთიკურ პრობლემებსა და დილემებს, განსაზღვრავს ბიოეთიკის პრინციპებს და ჩამოაყალიბებს ბიოეთიკის მართლმადიდებლურ კონფეფციას, რომელიც ეკლესიის სამწყსოს, მთელ ჩვენს საზოგადოებას დაეხმარება ისეთი არჩევანის გაკეთებაში, რომელიც მართებული იქნება ზნეობრივი

თვალსაზრისით და რომელიც მას დაიცავს ფიზიკური და სულიერი საფრთხეებისაგან. ფრიად მოხარულნი ვიქნებით, თუკი ჩვენი მოკრძალებული შრომა რამეში დაეხმარება ბიოეთიკურ კომისიას და წაგადგება ამ მეტად მნიშვნელოვან და საშურ საქმეში.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის თავმჯდომარე,  
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი  
ავთანდილ უნგიაძე

## წყაროები

[1] <https://lozierinstitute.org/update-covid-19-vaccine-candidates-and-abortion-derived-cell-lines/>~



- [2] <https://www.ifamnews.com/ru/vaktsiny-ot-koronavirusa-na-osnove-kletochnyh-linii-abortirovannyh-detej/>
- [3] [http://myrophoros.blogspot.com/2021\\_01\\_11\\_archive.html](http://myrophoros.blogspot.com/2021_01_11_archive.html)
- [4] [https://www.youtube.com/watch?v=mhcjlddfO7U&feature=emb\\_logo](https://www.youtube.com/watch?v=mhcjlddfO7U&feature=emb_logo)
- [5] <https://vaccineimpact.com/2021/cdc-11940-dead-618648-injuries-and-1175-unborn-babies-dead-following-covid-19-shots/>
- [6] [dimpenews.com. https://orthodoxostypos.gr/ αυτοί-οι-οροί-δεν-είναι-εμβόλια/](https://orthodoxostypos.gr/)
- [7] <https://apologet.spb.ru/ru/4457.html>
- [8] <http://kaiomenivatos.blogspot.com/2021/07/luc-antoine-montagnier.html#more>
- [9] <https://orthodoxostypos.gr/%ce%bf%ce%b9-%ce%b5%ce%bc%ce%b2%ce%bf%ce%bb%ce%b9%ce%b1%cf%83%ce%bc%ce%b5%ce%bd%ce%bf%ce%b9-%ce%b5%ce%b9%ce%bd%ce%b1%ce%b9-%ce%ba%ce%b9%ce%bd%ce%b4%cf%85%ce%bd%ce%bf%cf%83-%ce%b3%ce%b9%ce%b1-%cf%84/?fbclid=IwAR0E5uH1GA5Wy7Mf9oLrkAcVAHhwboCunijSLxohNfKCGA2wMcaRPMVdBOY>[10]
- <https://enromiosini.gr/arthrografia/epikair/luc-montagnier/>
- [11] <https://rumble.com/veos2r-all-....about-mrna-so-called>
- [12] <https://www.forbes.ru/obshchestvo/397639-kto-dolzhen-zhit-covid-19-stal-ekzamenom-po-bioetike>
- [13] <https://www.forbes.ru/obshchestvo/397639-kto-dolzhen-zhit-covid-19-stal-ekzamenom-po-bioetike>
- [14] <https://www.pemptousia.gr/2016/05/i-chrisi-vlastokittaron-ke-o-ithikos-provlimatismos-tis-orthodoxis-ekklisias/>
- [15] <https://www.coe.int/ru/web/portal/-/covid-19-human-rights-principles-must-guide-health-decisions>
- [16] <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1204413?publication=0>
- [17] [https://pk-semya.ru/images/news/2015/pks\\_2017-r.pdf](https://pk-semya.ru/images/news/2015/pks_2017-r.pdf)
- [18] <https://cosb-mp.ru/dokumenty/tserkovno-obshchestvennogo-soveta-po-bioetike/sbornik-pravoslavie-i-problemy-bioetiki-2020>
- [19] <http://xareba.net/5077-marthlmadidebloba-da-mecniereba-natsili-i.html>

- [20] [https://www.kas.de/c/document\\_library/get\\_file?uuid=d6303fe8-45a8-6f92-d2e2-0631bd3124e2&groupId=269781](https://www.kas.de/c/document_library/get_file?uuid=d6303fe8-45a8-6f92-d2e2-0631bd3124e2&groupId=269781)
- [21] <https://rm.coe.int/1680307ebe>
- [22] <https://enromiosini.gr/arthrografia/kasimatis-kathigitis-syntagmatikoy-dikaioy-2/>
- [23] <https://rm.coe.int/inf-2020-2-statement-covid19-e/16809e2785>
- [24] [https://azbyka.ru/otechnik/Luka\\_Vojno-Jasenetskij/dukh-dusha-i-telo/](https://azbyka.ru/otechnik/Luka_Vojno-Jasenetskij/dukh-dusha-i-telo/)